ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 27

(მომსახურების შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 1 თებერვალი 2011 წელი

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული), თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით - შემდეგში „შემსყიდველი", მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „მერი ხუნწელია"- შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
„შემსყიდველი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თვითმმართველ ქალაქ ფოთში, 2011 წელს განსახორციელებელი სოციალური დაცვის პროგრამებიდან შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" ყიდის „უფასო სასადილოს დაფინანსების პროგრამით" გათვალისწინებულ მომსახურებას.

1.2 მომსახურების ღირებულება შეადგენს **4400,00 (ოთხი ათას ოთხასი) ლარს, დღგ 18%-ისა და სხვა ხარჯების ჩათვლით (შემდეგში „ხელშეკრულების ღირებულება").**

1.3 მომსახურების შესყიდვა ხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2011 წლის ბიუჯეტიდან.

1.4 მომსახურების შესრულების კონტროლი დაევალოს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დევნილთა სამსახურს.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც აქვთ მათ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   - წინამდებარე ხელშეკრულება;
   - ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობები;
3. ზემოთ აღნიშნული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების პირობების თანახმად.
4. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების საერთო ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	ინდივიდუალური მეწარმე „მერი ხუნწელია"
ივანე საღინაძე	მერი ხუნწელია

ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული), თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით - შემდეგში „შემსყიდველი", მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „მერი ხუნწელია' - შემდეგში „მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 თვითმმართველ ქალაქ ფოთში, 2011 წელს განსახორციელებელი სოციალური დაცვის პროგრამებიდან „უფასო სასადილოს დაფინანსების პროგრამით" გათვალისწინებულ მომსახურებას.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება – ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის, ამ შემთხვევაში შესასრულებელი მომსახურების ღირებულება შეადგენს **4400,00 (ოთხი ათას ოთხასი) ლარს, დღგ 18%-ის, გადასახდებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.**

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- მომსახურების დაწყება 2011 წლის 1 თებერვალი.
- მომსახურების დამთავრება 2011 წლის 10 თებერვლამდე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დევნილთა სამსახური. (ქ. ფოთი, 26 მაისის ქუჩა №7).
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საგადასახო ანგარიშფაქტურის წარდგენა (სასაქონლო ზედნადები და სხვა). საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე შემსყიდველის სახელით ხელს აწერს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების შესრულების პროცესში წუნის აღმოჩენის შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2011 წლის 1 თებერვლიდან 2011 წლის 10 თებერვლამდე.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან - და მოქმედებს 2011 წლის 10 მარტამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესასყიდი მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დევნილთა სამსახურის უფროსი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დევნილთა სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში, ერთი – თვითმმართველი ქალაქ ფოთის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	ინდივიდუალური მეწარმე „მერი ხუნწელია"
ივანე საღინაძე	მერი ხუნწელია
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12 სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №6 სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი
ა/ა GE 94LB0120125805505000 ს/კ № 215138143 ბ/კ № LBRGE22	ა/ა 817229500 ს/კ 115145789 ბ/კ 220101502